



10 წინაპირობა სამართლიანი და თავისუფალი საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად

5 თებერვალი, 2008 წ.

1. საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწა: ამ პროცესში ოპოზიციური პარტიების, ქართული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტების და სხვა დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. სამუშაო პროცესის გამჭვირვალედ წარმართვა და საბოლოო ცვლილებების კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს ორი თვით ადრე განხორციელება, რათა მოხდეს მათ შესახებ კომისიის წევრების, საარჩევნო სუბიექტების და ამომრჩევლების დროული ინფორმირება. კანონმდებლობის სრულყოფაზე მუშაობისას, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ყურადღება უნდა გამახვილდეს:

- წინასაარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების გამორიცხვის უზრუნველყოფასა და
- საარჩევნო საჩივრების წარდგენასა და განხილვასთან დაკავშირებული ორაზროვანი საარჩევნო ნორმების დახვეწაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას საჩივრების არსებითი განხილვა და მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა.

2. საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმა: ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის კანონიერი, მიუკერძოებელი და პროფესიონალური საქმიანობის უზრუნველყოფა და მათი გამჭვირვალობის გაზრდა, რათა გაიზარდოს საზოგადოების ნდობა საარჩევნო კომისიების მიმართ.

3. ამომრჩეველთა სიების სრულყოფაზე მუშაობის დაუყოვნებლივ დაწყება: 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების დროს შედგენილი დამატებითი სიების კომპიუტერიზაცია. სიების დროულად გამოქვეყნება და მათი გასწორების პროცედურების დახვეწა და სრულფასოვნად განხორციელება, რათა გამორიცხოს ამომრჩევლების და საარჩევნო სუბიექტების მიერ გამოვლენილი ხარვეზების უგულებელყოფა. სიებში მოქალაქეთა ფაქტობრივი მდგომარეობის (გარდაცვლილი ამომრჩევლები, რომელთა სიიდან ამოღებაც ვერ ხერხდება იურიდიული პრობლემების გამო; საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლები და ა.შ.) და მათი საარჩევნო რეგისტრაციის თარიღის მითითება ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ გრაფებში. დამატებითი სიების გაუქმება.

4. არჩევნების თარიღის დროულად გამოცხადება, რათა ყველა საარჩევნო სუბიექტს და სადამკვირვებლო ორგანიზაციას სათანადოდ მომზადების საშუალება მიეცეს.

5. კონკურენტული წინასაარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა: წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვა. კამპანიაში თანამდებობის პირებისა და სხვა საჯარო მოხელეების მონაწილეობაზე არაორაზროვანი შეზღუდვების დაწესება. ამომრჩევლებზე, კომისიის წევრებზე, საარჩევნო სუბიექტებზე, ჟურნალისტებზე და დამკვირვებლებზე ზეწოლის და სხვა სახის არამართლზომიერი გავლენისგან თავისუფალი გარემოს გარანტირება. მედია საშუალებების თავისუფლების გარანტირება და მათ მიერ სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიების არადისკრიმინაციულად გაშუქების უზრუნველყოფა.

6. წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსების გამჭვირვალობის გაზრდა: ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის საარჩევნო კამპანიების ფონდების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვადების გადახედვა. შესაბამისი ანგარიშების ფორმების სრულყოფა (მათი დამატებითი დეტალიზაცია). ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან არსებული მონიტორინგის საბჭოს უფლებამოსილების და ეფექტურობის გაზრდა. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლენილი ხარვეზებისა და დარღვევების შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქციების დაზუსტება.

7. საარჩევნო პროცესის მონიტორინგის ეფექტურობის გაზრდა: ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებელთა (წარმომადგენელთა) რეგისტრაციის წესის გამარტივება. მათი უფლებრივი გათანაბრება საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლებთან.

8. კენჭისყრის დღის (ხმის მიცემისა და ხმების დათვლის) პროცედურების გამარტივება და დახვეწა.

9. საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული საჩივრების საფუძვლიანი განხილვის უზრუნველყოფა: ამ კუთხით საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფა (ორაზროვანი ნორმების გასწორება). საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოების მიერ საარჩევნო საჩივრების არსებითად და მიუკერძოებლად განხილვის უზრუნველყოფა და ამ პროცესის გამჭვირვალობის გაზრდა.

10. ამომრჩევლების ინფორმირება: ამომრჩევლებისთვის დროული და ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება საარჩევნო სიებზე, წინასაარჩევნო და კენჭისყრის დღის პროცედურებზე, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების წესებსა და არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

მნიშვნელოვანია, რომ უწყებათაშორისმა სამთავრობო ჯგუფმა, რომელიც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ შეიქმნა, გააგრძელოს საარჩევნო საკითხებზე მუშაობა და ამ პროცესში აქტიურად ჩართოს პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ჟურნალისტები. ჯგუფის მუშაობა უნდა წარიმართოს გამჭვირვალედ და ინტენსიურ რეჟიმში. მან ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაჭრაზე, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ საარჩევნო პროცესის მიმართ საზოგადოების აზრის ფორმირებაზე, რათა მომავალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს დაფიქსირებული დარღვევებისა და ხარვეზების საფუძვლიან შესწავლას და კანონდამრღვევი პირების პასუხისმგებლობის საკითხის დასმას, რის შესახებაც საზოგადოება ღიად უნდა იყოს ინფორმირებული.

ახალი თაობა – ახალი ინიციატივა ([nGnl](#))

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო ([TI Georgia](#))

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ([ISFED](#))

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ([GYLA](#))